სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

11719214004225

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N25146831O

რეგისტრაციის თარიღი

28.10.2025 წ

ნოტარიუსი: გიორგი ჭიტაშვილი
მისამართი: ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძის ქუჩა #38
ტელეფონი:

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდარვა ოქტომბერი. ჩემთან, საქართველოს ნოტარიუს გიორგი ჭიტაშვილთან, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის ქ № 38, გამოცხადდა **შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროები“-ს** (რეგისტრირებული 22.01.2008 წელს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, ნაკაშიძის ქ., N 8, საიდენტიფიკაციო კოდი: 204546928) დირექტორი **გიორგი ღლონტი** (დაბადებული 25.03.1972 წელს, პირადი ნომერი: 01008001232, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ილო მოსაშვილის ქუჩა, N 9, ბინა 31). მან განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომლითაც უფლებამოსილებას მიანიჭებს **თამაზ მურვანიძეს** (დაბადებულს 13.07.1956 წელს, პირადი ნომერი: 01015021376), **შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროები“-ს** საქმების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B24076835. შემდეგ შევადგინე მინდობილობა და მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს:

მინდობილობა

ორი ათას ოცდახუთი წლის ოცდარვა ოქტომბერს მე, **შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროები“-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204546928) დირექტორი **გიორგი ღლონტი** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში “მიმნდობი”, უფლებამოსილებას ვანიჭებ **თამაზ მურვანიძეს** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს”, მასზედ, ის იყოს **შპს „საქართველოს ბუტიკების სასტუმროები“-ს** წარმომადგენელი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქალაქ თბილისის საკრებულოში, მიწის ლეგალიზაციის კომისიაში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურში; მოახდინოს პროექტის შეთანხმება, აზომვა, მოამზადოს ახალი საკადასტრო გეგმა, შეასწოროს ხარვეზები, შეიტანოს ცვლილებები დოკუმენტებში, სარეგისტრაციო მონაცემებში, მოახდინოს შერწყმა/გაერთიანება; წარადგინოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ამონაწერის მისაღებად, ფართის დასარეგისტრირებლად, პროექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო დოკუმენტები, გადაიხადოს სათანადო გადასახდელები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია საზოგადოების ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია **ორი წლის** ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ორი კი გადაეცა მიმნდობს.

მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის № B24076835.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507-ე დადგენილების (რომელშიც შესულია ცვლილება საქართველოს მთავრობის 30.05.2022 წლის № 272 დადგენილებით) 31-ე მუხლის შესაბამისად, 30.00 ლარი, დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლი თანახმად, 5,40 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 5.00 ლარი, სულ 40.40 ლარი.

მიმნდობი: ---------- .

ნოტარიუსი: გ. ჭიტაშვილი